



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030188694003821

№ 01-332/ო

24 / აგვისტო / 2021 წ.

**„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლისა შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

#### 1. დამტკიცდეს:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულება (დანართი N1);
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი N2).

#### 2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ძ ა ლ ა შ ი ა ხ ე ლ მ ო ნ წ რ ი ს თ ა ნ ა ვ ე .

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე